

PRESS RELEASE

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
2016 წლის 7 დეკემბერი
USAID/Zrda-ს შესახებ ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:
ქეთი რეხვიაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ტელ: 032 222 7495 ელ.ფოსტა: krekhiashvili@zrda.ge

USAID-ის პროექტ *ზრდა*-ს და *თეგეტა მოტორსის* თანამშრომლობა რეგიონების ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად

თბილისი - 2016 წლის 7 დეკემბერს, USAID-ის პროექტ *ზრდა*-ს ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა და *თეგეტა მოტორსის* გენერალურმა დირექტორმა თემურ კოხოძემ გააფორმეს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

აღნიშნული მემორანდუმი განიხილება როგორც შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს, ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ავტოტექნომოსახურების ცენტრების მოდერნიზებას და მაღალი ხარისხის მომსახურების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას პროექტის სამიზნე რეგიონებში - სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთის, შიდა და ქვემო ქართლი. ამასთანავე, თეგეტა მოტორსი, როგორც გამოცდილი და ცნობადი ბრენდი, დახმარებას გაუწევს USAID-ის ზრდა-ს სამიზნე მუნიციპალიტეტებში ერთობლივად შერჩეულ მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შესაძლებლობების გაუმჯობესებაში. დახმარება მოიცავს გადამზადების კურსებს, კონსულტაციებსა და მხარდაჭერას ბაზარზე. ასევე, საწარმოები ჩაერთვებიან თანადაფინანსების საგრანტო პროგრამაში, რაც მათ შემდგომი ზრდისა და განვითარების საშუალებას მისცემს.

თეგეტა მოტორსის საქმიანობის შესახებ: „თეგეტა მოტორსი“, წარმოადგენს ჰოლდინგს, რომელიც კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოპროდუქტებისა და ავტოტექნომოსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს. ჰოლდინგი აერთიანებს 4 შვილობილ კომპანიას: შპს "თეგეტა თრაქ ენდ ბასი" (MAN Truck & Bus AG-ის ოფიციალური წარმომადგენელი), შპს „თეგეტა ქონსტრაქშენ ეკვიფმენტი“ (JCB-ის ოფიციალური წარმომადგენელი); შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“ („პორშესა“ და „მაზდას“ ოფიციალური წარმომადგენელი), და კიდევ ერთი ახალი შვილობილი კომპანია - „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ (TOYOTA-ს დილერი და ავტორიზებული სერვისცენტრი საქართველოში).

USAID-ის პროექტ *ზრდა*-ს საქმიანობის შესახებ: USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციულ საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგრადობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.zrda.ge; <https://www.facebook.com/zrda>